

2014 წლის 22 სექტემბრიდან, ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 50-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 50

3D Security (3D კოდი)

კლიენტს შეუძლია ბარათს მიანიჭოს ასევე 3D კოდი (3D Security), რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს. 3D კოდი გამოიყენება “Verified by VISA” სტატუსის მქონე ვებ-გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA Classic, VISA Classic Credit card, VISA Business და VISA Business Credit card ბარათებით ონლაინ შესყიდვების განხორციელებისას. 3D კოდი ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის.

ბანკის რეკომენდაციას, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია.

პროკრედიტ ბანკის VISA Classic, VISA Classic Credit card, VISA Business და VISA Business Credit card ბარათებზე 3D კოდის მინიჭება ხდება უშუალოდ ბარათის მფლობელის მიერ ონლაინ შესყიდვის განხორციელებისას, კერძოდ როდესაც შესაბამის ვებ-გვერდზე (“Verified by VISA” სტატუსით) კლიენტი შეძენის მიზნით ირჩევს სასურველ პროდუქციას ან მომსახურებას, ბარათის ინფორმაციის დაფიქსირების შემდეგ მოხდება ავტომატური გადამისამართება ვებ-გვერდზე (<https://vbv.procreditbank.com>), სადაც შესაძლებელი იქნება კლიენტმა გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია და მიანიჭოს ბარათს სასურველი 3D კოდი.

რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- ა. ბარათის მფლობელის დაბადების თარიღი;
- ბ. ბარათის მფლობელის პირადი ნომერი;
- გ. ბარათის მფლობელისათვის ბანკში მინიჭებული კლიენტის ნომერი;
- დ. ბარათის მოქმედების ვადა;

ბარათზე 3D კოდის მინიჭების პროცესის გავლა საჭიროა მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი გამოყენება ხდება ყოველი ონლაინ შესყიდვის დასადასტურებლად „Verified by VISA“ სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე. 3D კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოხდება არსებული 3D კოდის დაბლოკვა.

კლიენტს შეუძლია 3D კოდის დავიწყების ან დაბლოკვის შემთხვევაში, დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო მომსახურების ცენტრს *2222, +995 32 220 22 22.

2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-19 მუხლის მე-3 და მე-8-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 3

3D Security (3D კოდი) წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA Classic და VISA Business ბარათებით ონლაინ შესყიდვების განხორციელებისას, რომელიც “Verified by VISA” სტატუსის მქონე ვებ-გვერდებზე შესყიდვების დადასტურებას მოითხოვს 3D კოდით. 3D კოდი წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს, რომელიც ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის. ბანკის რეკომენდაციას, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან

წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია. უსაფრთხოების მიზნით (3D კოდის თავისებურებათა გათვალისწინებით) ასევე აკრძალულია მე-2 პუნქტში მითითებული ქმედებები.

პუნქტი 8

კლიენტის მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების, რეკომენდაციების და/ან მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტის ან მესამე პირების მიმართ დამდგარ ზიანზე სრულადაა პასუხისმგებელი თავად კლიენტი.

3. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-24 მუხლის მე-3-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 3

თუ ხელშეკრულებით არჩეულია შეტყობინება “ინფო სერვისი 2022”, მაშინ კლიენტს შეუძლია სასურველი ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ხელშეკრულებაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან SMS-ით გააგზავნოს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი SMS კოდი ნომერზე: 2022.

ინფორმაცია SMS კოდების და მათი მნიშვნელობების შესახებ			
SMS კოდი	მნიშვნელობა	SMS კოდი	მნიშვნელობა
0	ინფორმაცია SMS კოდების და მათი მნიშვნელობების შესახებ	7	ვალუტის ოფიციალური კურსები: USD, EUR, GBP, RUR
1	მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	8	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: USD/GEL, EUR/GEL, EUR/USD
2	მიმდინარე ანგარიშებზე ხელმისაწვდომი ნაშთების შესახებ ინფორმაცია	9	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: GBP/GEL, RUR/GEL
3	შემნახველ ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	10	მიმდინარე ანგარიშების რეკვიზიტები
4	ზრდად ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	11	შემნახველი ანგარიშების რეკვიზიტები
5	საკრედიტო შენატანის დავალიანების შესახებ ინფორმაცია	12	ინფორმაცია საკრედიტო ბარათის შესახებ
6	საკომისიო დავალიანების შესახებ ინფორმაცია	13	შეტყობინებათა ენის (ქართული/ინგლისური) შეცვლა